ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 152. კვირა, 7 ნოემბერი 1910 წ. დამატების № 23



დაემორჩილე მშვიდობიანობას! — სურათი ბუტლერისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ დააფიქრა! — სურათი პოლთიუმანისა.

ლანდია

დრამატიული თხზულება ოთხ ნაწილად.

(შემდეგი *)

ლანდია. ნუ თუ ეს ხმებიც ვით ღვთისა გრძნობა, წმინდა უკვდავნი არ იქნებიან; მსოფლიოს სასტიკ, ღრმა სიჩუმეში უგზო-უკვალოდ შთაინთქებიან და ვით ხმა ყველა მომაკვდავისა გაიბნევიან, სულ გაჰქრებიან!..

მეგობარი. თითქოს სხვათა შორის.

ყველას საფლავი არის მსოფლიო, საფლავის ქვად კი— მისი სიჩუმე!..

შესწყვიტა ბავშვმა სიმღერა კვნესა, და ვით მდინარე წმიდისა გულთ გაშეშებული იდგა ერთ ადგილს.

მადლ აედო მას კოხტა თავი, თითქოს სადღაც შორს გასცქეროდა, სადაც ხედავენ უსინათლონიც და მზედ იქცევა თვით უკვდავება.

დატანჯული გულით, ამაყურ სახით ის თითქოს პასუხს ელოდებოდა, მაგრამ თუ პასუხს მწარე კითხვებზე არას დროს ის არ ელირსებოდა, მაშინ ის მაინც ჭსურდა გაეგო; შეიტყო თუ არა მისი კვნესა, ვინც მოვალეა ეური უკდოს ქვეყნიურ კვნესას; ნახა თუ არა იმისი ტანჯვა, ვინც მოვალეა თავლს უგდებდეს ყველას სიცოცხლეს; იგრძნო თუ არა მან იმისი უბედურობა, ვინც მოვალეა გრძნობდეს ქვეყნის ტანჯვა-ვაებას; ვინც თვით სხვას აძლევს საგრძნობლად სულსა და გულსა, რომ თანაუგრძნონ დატანჯულსა და წამებულსა.

ან იქნებ იმას სულ ვერა სცნობს მარადისობა, ვისაც ტანჯული ეგრე მწარედ ეკითხებოდა!

ან იქნებ სულაც არსად არის უკვდავებაში ყველას დამნახვე, ყველას მსმენი ყველას მგრძნობელი?..

ვედარ გაუძღო ბავშვმა ასეთ სასტიკ სიჩუმეს და თვალებიდან ცამოსცვივდა მწარე ცრემლები, იმ თვალებიდან, რომელთ ერთხელაც არ უხილავთ მზისა სხივები, მხოლოდ ცრემლები თუ სწყდებოდნენ ამათ სიბნელეს, ვით დიდის ნამი, ვით ცოცხალი მარგალიტები.

ტურფა მივიდა, გულს ჩაიკრა დამწყენარი ვარდი. მის თვალთაც მოსწყდა უნებურად ოხოდი ცრემლი; გულში ალეკრა სიყვარულიც და სიბრალულიც.

* იხ. სურ. დამატება № 24.

შრომითი ბიბლიოთეკა

ტურფა. რათ სტირი ბიჭიკო! დამალე ცრემლები! არა გრცხვენია.

კაჭვ'ვს მეორე ოთახში.

ლანდია. წამოხტება უეცრივ. მასში შეერთებულია მწარე დაცინვა იმედის კაცრუებაზე, და გლოვა უბედურებაზე. დაცინვა-ტირილით ის დაიწუებს კვნესას და ხარხარს, თითქოს ამ ხმებში ჭსურს ჩაადრჩოს რაც მას ადეღვებს.

არ ვიცი ვიტირო ჩემს უბედურობაზე, თუ ვიცინო ქვეყნიურ უსამართლობაზე, გაუგებრობაზე.

ვისი ბრმა ხელი არიგებს ქვეყნად ყველა სიკეთეს, უბედურობას!

რათ აღიძვრიან გულში იმედნი თუ სინამდვილედ არ იქცევიან, თუ არასდროს არ აჰყვავდებიან, ისე ჰჭკნებიან და გაჰქრებიან?!..

ო, უკვდავო მარადისობავ! სად სჩქეფენ შენი წმინდა წყარონი მწარე სიცოცხლის დამატკბობელნი!

ო, სანატრელო სიყვარულო, ერთხელ კიდევ მაინც მიმთხვიე შენი უმანკო ტკბილის ტუჩებით! ერთხელ კიდევ გთხოვ ამაღელვო ქანწულებრივი შენი გრძნობებით!

ცხოვრებისაგან ხელუხლებელნო ოცნებანო მიუნდობელნო, რისთვის დაჰკარგეთ სიხარულის აღმძვრელი ძალა და შორეული ნეტარების შემოქმედება?

დაბრუნდი იმედო! დაბრუნდი ოცნებავ, გულის აღმძვრელო! თან მოგდევთ სიცოცხლე, მიქრება ლაპარი, მიძახის სამარე!

შორიდან ისმის მწარე კმინვა გულშემზარავი, სჩანს რომ დრმად არის დაკოდილი მკვნესარე გული და ლანდიასაც სულში სწვდება ეს ხმა საზარი.

ლანდია. ვინ ჰკვნესის, ვინ ჰგმინავს ესე სიმწარით! თითქოს სიცოცხლივ ჯოჯოხეთში მოქცეულიყვეს და არაკისგან შველას აღარ ელოდებოდეს.

მეგობარი. ეგ სამშობლოა დატანჯული, განამწარები! გეგონა კვნესა სიხარულად შეეცვლებოდა, გულის სიმწარე ნეტარებად გადექცეოდა, უდროვოდ მჭკნარი მის სიცოცხლე აჰყვავდებოდა და შენი გულიც მის წალკოტში შვებას იგრძნობდა.

ლანდია. ... მაგრამ მოვსტყუვდი! ისევ ჰკვნესის ჩემი სამშობლო და მას ბანს აძლევს ჩემი გული, იმედ-მოკლული.

მეგობარი. ... მაგრამ მოსტყუვდი, ვით სტყუვდება მთელი ქვეყანა...

იქაც ჰქვითინებს შენი ტურფა, ცრემლსა ჰღვრის მწარეს, შესჩივის თავის ბედის ვარსკვლავს, მზესა და მთვარეს. ცრემლიანი აწვეთებს თვის სიყვარულს სიცილით შობილს, თვის ქანწულობით, სიხარულით და მზით შემკობილს...

იქაც იტანჯვის შენი პირმშო მზეს მოკლებული; იმასში ჰკვნესის შენი გული მოტყუებული, შენ.. იმედი და ოცნება გაცრუებული...

ლანდია. გასჭკნა ტურფას სილამაზეც მზის სხივებით ქება-სხმული. მეგონა, რომ შვილის ყოლით შევივსებდი დანაკლისსა, მაგრამ მან მეც დღე დამიხშო, თვით ნატრულმა მარად მზისა.

არც სამშობლოს ნეტარება ჩამოსცილდა ოცნებასა თვით ოცნებაც შორს გამიქრა, დამამსგავსა ცოცხალ-მკვდარსა.

მეგობარი. ვერც შენ გახდი, რომ ფიქრობდი, დიდებული შემომქმედი. გეგონა, რომ მარმარილოს სიცოცხლის სულს ჩაჰბერავდი, შენ თავსაც და სამშობლოსაც მით უკვდავ ძეგლს დაუდგამდი. მაგრამ ჰხედავ, რომ შენ უფრო საფლავის ქვა გემარჯვება, ვიდრე შეჰქმნა დიდებული ღვთაებრივი ქანდაკება.



საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომა 29 ოქტომბერს.
საერთო ალიაქოთის დროს, უკიდურეს მემარცხენეთა მოღერილ მუშტების წინ, მინისტრ-პრეზიდენტი ბრიანი, ტრიბუნიდან გადახრილი, სცდილობს თავისი სიტყვა სტენოგრაფოსთ მაინც გააგონოს.

ლანდია. ოჰ, სინამდვილე რა მწარეა, გულის მომკვლელი! ვინა სთქვა, თითქოს სინამდვილე—სიმართლეაო! ეს სიყალბეა, მოტყუება, უსამართლობა, მხოლოდ ამ ქვეყნად მოვლენილა ის თვალხილულად, რომ მოგვეჩვენოს გულ-უბრკოთა ვით სინამდვილე ღა მის ყალბობას ჩვენ ვუწოდოთ წმიდა სიმართლე...

არა, სტყუიან სულ ყველანი, სტყუიან ღმერთნიც, როს გვაგონებენ, სინამდვილე სიმართლეაო.

დიაღ, სტყუიან! სინამდვილე—სიყალბე არის და სიმართლე კი სინამდვილეს მოჰშორებია; ის თვალთა ხილვის ვიწრო სამზღვრებს მოჰფარებია და ტკბილ ოცნებას ფართე მკერდში ჩაჰკონებია.

სიმართლის მხარეს მარად დღეა და ნეტარება, იქ თვით ცრემლებიც სიხარულად გულს ენამება.

მეგობარი. მაგრამ სად არის ეს სიმართლე! ოცნებაც გაჰქრა და სიხარულიც, ნეტარებაც იმას თან გაჰყვა.

ლანდია. ოჰ, გულის ღელვავ, თუ სიმშვიდეს ველარ იხილავ, ბარემ წაჰლეკე სიხარულის მნატრი გრძნობანი!

თუ სამუდამოდ ჩაჰქრა ჩემი ბედის ვარსკვლავი, მაშინ აღზდეგი, შენ უკვდავო წყვდიადო—ბნელო! გულში ჩამიკარ ვით უძლური და უსუსური, რომ მთლად გამიქრო და სიცოცხლე წამს დამიბნელო!

ო, მწუხარების აღზდეგით მთანო, ქვეშ მომიტანეთ, დამასამარეთ! დამბერეთ ქარნო არარაობის, შორს გადამკარგეთ, ქროლით გამაქრეთ!..

მეგობარი. აძდეგს ჭიქას სწამდაგით ვით ტანჯვისგან გამოიხსნედსა.

აქ გაჰქრება შენი დარდი, ჩაილრჩობა სამუდამოდ. მასში ჰპოვებ საუკუნო განცხრომას და სიმშვიდესა, ვერ მოგწვდება იმ ქვეყანას ვერც სიცილი, ვერცა კვნესა. სულ სხვა სახით იქ განიცდი გრძნობებს საიდუმლოებსა.

წრფელის, მეგობრულის რჩევით. ხელში მისცემს სწამდაგსა.

ᲚᲐᲜᲓᲘᲐ. მაშ შენც მირჩევ მეგობარო, დავეწაფო არაარად ქმნას. ვაშკაცურად მივეგებო ტანჯვით ამონათხარ საფლავს?

მაშ აღსრულდეს ნება მისი, ვინც ეგ აზრი შთაგინერგა. ნეტარ იმას, დროზე სიკვდილს ვინც კი გაუწოდებს ხელსა, უტანჯველად, უნანებლად თავს დაუკრავს სიცოცხლესა.

მშვიდობით ჩემო სამშობლოვ! ვაჰ, მტლედ რომ ველარ დაგედე! ვერ მოვესწარი შეგშროდა ცრემლები ტანჯულ სახეზე. სხვა ბედიკრულ შენსა შვილებთან, გთხოვ ჩემზეც ჰღვარო ცრემლები, მეც ზხოლოდ მისი ღირსი ვარ, საგლოვად მოსაგონები...

მშვიდობით ტურფავ, ჩემ ხელში მოწყვეტილ ვარდად დამჭკნარო. მეგონა სამარემდისინ იყვავილებდი წარმტაცად, ჩემ გულს იგრძნობდი ამ ქვეყნად და ოცნებას კი—მალლა ცად. შენც გასჭკნი, ამით გამიქრე მეც გრძნობა სილამაზისა... ყველა ყოფილა გამყოლი ამაოების ქარისა!

პირმშოვ შენც ბეტყვი მშვიდობით, ისევ შენ გიჯობს მიგლოვო! ქნარის მგრძნობიერ კვნესაში გთხოვ ზოგჯერ მეც მომიგონო!

მეც ხომ ქნარი ვარ გეთაყვა, მხოლოდ კი სიმებ დამწყდარი, მიტომ ვერ ვნახე ამ ქვეყნად ვინმე მის ჟღერით დამტკბარი!..

მიწიწებით მივა ახლოს სამუშაო მაგიდასთან

შენც შვიდობით ჩემო შრომავ, უნაყოფოდ დაკარგულო და ოცნებავ თვალ-წარმტაცო, ამ შრომაში დამარხულო!

რაც კი ვპოვე მე ამ ქვეყნად, ყველა გახდა ჩემ სამარედ, თვით სიცოცხლეც სიკვდილს ნიშნავს, საგლოვია ყველა მწარედ.

უხილავო ქვეყნის მხარევ, შენს წიაღში მოვესწრაფვი, რამედ მაქცევ თუ არარად—მე ამ ჭიქას მაინც დავსცალი.

რა მიიტანს ბირთან ჭიქას, მაშინათვე მის კარშემო
კაისმიან მრავალად ხმები; თითქოს განგებ სდარაჯობ-
დენ ამ წამისთვის უფალ ერთად.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ. — არ დალიო! მოსტყუვდები! შემდეგისთვის ბევრს ინანებს!

— რაღას უცდი! გადაჰკარი! მშიშარა ხარ და ეძლური!

— არ დალიო! არ დალიო!

— გადაჰკარი! ჩქარა! ჩქარა!

მრავალი ხმები ერთმანეთში აირევიან და დანდიასაც სულ ერთიან თავ-გზა ებნევა.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ. — დალიე, ჩქარა, შე მშიშარავ!

— არ შესცდე! ინანებ! სადა გაქვს გონება!

— რაღას უყურებ! მშიშარა, მშიშარა!

— უგუნურობას ნუ ჩაიდენ, ნუ გაგიჟდები!

ᲚᲐᲜᲓᲘᲐ. შენ რაღას სდუმხარ მეგობარო! აბა რას მეტყვი, ვის გავუგონო? ვისი ხმაა სიმართლის მთქმელი?

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ. ეგ მეც არ ვიცი, თუ რომლების რჩევა სჯობია. ვინც უფრო მძლავრად გულს ჩაგძახის, მას გაუგონე! ამ შემთხვევაში მეც მონა ვარ მაგ იდუმალ ხმათ.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ. — დალიე!

— არ შესცდე!

— დალიე!

— არ შესცდე!

ᲚᲐᲜᲓᲘᲐ. არა მესმისრა, სულ დამებნა მე გზა და კვალი. ნუთუ ეგრეა არეული სულ ერთმანეთში სიმართლის ხმაც და სიყალბისაც, ვით გიჟის თავში.

ვის გავუგონო! საით არის ჩემთვის სწორე გზა!

თუ კი ხარ სადმე ყოვლის შემძლევ, მამცნე სწორე ხმა.

წამს დანდიას კარს მოეხვევიან ჭაღრაჯანი რამ
არსებანი, სიცილით, დიმილით ნათელს მოჭვეტენ
იმისსა სახეს, ჭმუნვით მოდრეკულს.

ᲚᲐᲜᲓᲘᲐ. ცით მოვლენილი ანგელოზნი ხართ, მიწიერთათვის უცნობი არსნი, თუ თქვენც, მომხიბლავ სახით მოვლენილთ გინდათ, რომ ტანჯვა გამიორკეცოთ?

ᲜᲐᲗᲚᲘᲗ ᲛᲝᲬᲘᲚᲚᲘ. შენი გულის ასულნი ვართ, მის სიღრმეში ნაზად ზრდილნი, და ჩვენში კი ჰყვავილობენ იმედები ნეტარ-ტკბილნი. ჩვენი ნაზის შუქ-მფენობით გვსურს გავფანტოთ შენი ჩრდილნი, შორს გავსტყორცნოთ შავნი ფიქრნი, შენს გარშემო შეკრებილნი.

ვიდრე ვცოცხლობთ ჩვენ შენ გულში, ისევ გწამდეს გამარჯვება; ნუ გგონია ყველასფერში რომ წილად გახვდეს დამარცხება. ჩვენ გარწმუნებთ, ყველასფერში არ გიმტყუნებს შენი ბედი! კიდევ სცადე, რომ დარწმუნდე, სიკვდილს კი რას ეშურები?..

ᲚᲐᲜᲓᲘᲐ. მჯერა, მჯერა თქვენი რჩევა! სჯობს კვლავ ვსცადო ჩემი ბედი. ნუ თუ სულ ვერ გავიხარებ, ყველგან მწარედ მოვსტყუვდები?

მაშ შორს გასწით შავო ფიქრნო, გულის მღრღნელნო, ბოროტებო და ეს ჭიქაც სასიკვდილო, სჯობს თქვენ თავზე გადავსტეხო!

დანარცხებს ჭიქას; თითქოს მასთან დამსხვრია
თავის გულის დარდებიცა!

ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ. აი, ყოჩაღ, ამ ბრძოლაში გამარჯვებით რომ გადარჩი. ეხლა თითქოს მეც კი მჯერა, რომ სიამეს ჰპოვებ ქვეყნათ.

დანდია ადგდგებული დაემხობა მაგიდაზე.

ტკბილ იმედის მოციქულნი ისევ კაჭკრენ ნელა-ნელა და იმათი ნახარები ისევ ჭმუნვამ დაბნელა.

მრავალნი ფიქრნი, ძაძით მოსილნი კარს ეხვევიან ისევ დანდიას; შორს კი დემონი დაჭხარხარებენ, რომ კაცის გული საბრალოდ ჭკმინავს და თავიანთ სიცილს ვით ძვირ სიხუქარს ქვეყნად ატანენ მომქრალავ ნიავს.

ისევ ადგდა დანდიას გული, ისევ დაბნელდენ მისი აზრები. ადგდგებული, გაბრაზებული თითქოს მუქარით ამოიკვნესებს.

ᲚᲐᲜᲓᲘᲐ. მაინც ფიქრები, შავი ფიქრები ტალღებსა მცემენ, გარს მეხვევიან; ჩემს ნაშენ აზრებს სულ მთლად აქცევენ და მეც წალეკვას მემუქრებიან; და ჩემის ტანჯვით, სასოწარკვეთით ვხედავ დემონნი როგორ სტკბებიან.

სიცოცხლივ ყველას მონატურები როცა მიწაში ჩაიფვლებიან, ამ თავიანთ ნატვრას ნუ თუ ოდესმე სიკვდილით მაინც ვერ მისწვდებიან?!..

ბოლო მესამე ნაწილისა

ᲚᲔᲕ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ.

შემდეგი იქნება

რედაქტორ-გამომცემელი Ი. ᲡᲝᲚᲜᲚᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ-ᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ“, ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ. № 3